

სკოპინგის დასკვნა N32

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 100 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის („იმერეთი 3“) მშენებლობა და ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „იმერეთის ენერგია“;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 11.03.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „ჯითიეს კონსულთიმი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) შპს „იმერეთის ენერგიის“ მიერ წარმოდგენილ იქნა საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, 100 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის („იმერეთი 3“), მიწისზედა და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების და 33 კვ. ქვესადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ქარის ელექტროსადგურის, ელექტროგადამცემი ხაზების და ქვესადგურის მშენებლობა-ექსპლუატაცია დაგეგმილია საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, სოფ. კორბოულის, ნიგვზარას და ჭალოვანის მიმდებარედ სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. კორბოული) ქარის ელექტროსადგურის ტურბინებიდან დაშორებულია დაახლოებით 535 მეტრით, ხოლო ქვესადგურის ტერიტორიიდან (სოფ. კორბოული) - 441 მეტრით. საპროექტო ტერიტორია მოქცეულია მდინარე ძირულასა და მცირე მდინარეებს (მდ. გორთანულა, მდ. ლიჩხევილე, მდ. კაშხუდილე) შორის. წარმოდგენილი shp ფაილების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის სს „საქრუსენერგოს“ საკუთრებაში არსებული 500 კვ. ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ქარელი 2“.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია ტურბინების განთავსების და ელექტროგადამცემი ხაზის ალტერნატივები. ასევე, მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივა.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია 20 ერთეული ტურბინა-გენერატორის მოწყობა, საიდანაც 13 იქნება ძირითადი, ხოლო 7 სარეზერვო. თითოეული ტურბინის ნომინალური სიმძლავრე - 8 მგვტ. ტურბინების როტორები იქნება სამფრთიანი. ტურბინების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია მიწისზედა და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების საშუალებით გადაეცემა საპროექტო 33 კვ. ძაბვის ქვესადგურს. ქარის ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე 100 მგვტ-ს შეადგენს.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ქარის ელექტროსადგურის ტურბინების განთავსების წერტილების GPS კოორდინატებია: **T3-1 ტურბინა** X-376428, Y-4676762; **T3-2 ტურბინა** X-377664, Y-4676914; **T3-3 ტურბინა** X-377228, Y-4676487; **T3-4 ტურბინა** X-376371, Y- 4676247; **T3-5 ტურბინა** X-376672, Y-4675918; **T3-6 ტურბინა** X-378110, Y-4675856; **T3-7 ტურბინა** X-376831, Y- 4675412; **T3-8 ტურბინა** X-378189, Y-4675253; **T3-9 ტურბინა** X- 381748,Y-4674530; **T3-10 ტურბინა** X-382724, Y-4675401; **T3-11 ტურბინა** X-383073, Y-4674910; **T3-12 ტურბინა** X-382993, Y-4674512; **T3-13 ტურბინა** X-383312,Y-4674172; **T3-14 ტურბინა** X-383805, Y-4673579; **T3-15 ტურბინა** X-384046, Y-4673060; **T3-16 ტურბინა** X-376462, Y-4674557; **T3-17 ტურბინა** X-377455, Y-4674043; **T3-18 ტურბინა** X-375137, Y-4673948; **T3-19 ტურბინა** X-374660, Y-4673566; **T3-20 ტურბინა** X-374358, Y- 4673147.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა კომბინირებული ეგხ-ის დერეფანი, რაც გულისხმობს რთულ რელიეფურ პირობებში საჰაერო ეგხ-ს გაყვანას, ხოლო სწორი რელიეფის პირობებში - მიწისქვეშა ეგხ-ის მოწყობას. ქარის ტურბინებისა და ქვესადგურის დამაკავშირებელი საკაბელო ეგხ განთავსდება მიწისქვეშ. მიწისქვეშა საკაბელო ხაზთან ერთად ტრანშეაში განთავსებული იქნება სპილენძის და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები. ეგხ-ის დერეფანი ძირითადად გაივლის მისასვლელი გზის პარალელურად. Shp ფაილების მიხედვით, ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა და მიწისზედა ეგხ-ების საერთო სიგრძე იქნება დაახლოებით 32 კმ.

საპროექტო 33 კვ. ძაბვის ქვესადგურის მოეწყობა დაგეგმილია 7346 მ² ფართობის მქონე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 35.12.58.361). ქვესადგურში განთავსებული იქნება შემდეგი ინფრასტრუქტურა: ორმაგი სალტისანი 220 კვ. ჰაერით იზოლირებული გადამრთველი/გამთიშველი, ტრანსფორმატორის, ეგხ-ის მიერთების უჯრედი და აღრიცხვის უჯრედები, სარეზერვო სივრცე დამატებით მიერთების უჯრედისთვის, 220/33 კვ. ძალოვანი ტრანსფორმატორი, კონტროლის, კომუნიკაციის, უსაფრთხოების დაცვის და სახანძრო დაცვის სისტემები. ქვესადგურის განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-375723, Y-4675238; X-375784, Y-4675282; X-375871, Y-4675211; X-375785, Y-4675168.

ქარის ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ჩართვა გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, შპს „უსასრულო ენერგიას“ საპროექტო 500/220/33 კვ-იან ქვესადგურში, კერძოდ 220 კვ. ძაბვის ქვესადგურ კორპორულში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის პროცესში სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა „გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონი შ-22“ და საპროექტო ტერიტორიასთან დამაკავშირებელი ადგილობრივი გზების გზები. ზოგიერთ მონაკვეთზე ადგილობრივი გზებიანი გზების ტექნიკური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია და მათი გამოყენებისთვის გათვალისწინებულია არსებული გზების მოდერნიზაცია და ახალი გზების მოწყობა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელია ზემოქმედება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის ეტაპზე დასაქმდება 70 ადამიანი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე - 20. პროექტის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის. თითოეულ ანძასთან მოეწყობა დროებითი სამშენებლო მოედნები, რომლებიც მშენებლობის დასრულების შესაბამისად დაუბრუნდება პირვანდელ მდგომარეობას. სამშენებლო მოედნად ასევე გამოყენებული იქნება ქვესადგურის ტერიტორიის ნაწილი (1000-1500 მ² ფართობი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სამშენებლო მოედანზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია სასმელ-სამეურნეო, სარწყავი (მშრალ ამინდებში გზების და სამშენებლო მოედნების მორწყვა) და ხანძარსაწინააღმდეგო დანიშნულებით. სასმელი წყლით მომარაგება მოხდება ბუტილირებული სახით, ხოლო სამეურნეო დანიშნულებით წყლის მარაგის შევსების მიზნით ტერიტორიაზე მოეწყობა 10-15 მ³ ტევადობის სამარაგო რეზერვუარი, რომლის შევსება მოხდება ავტოცისტერნებით. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლებისთვის გამოყენებული იქნება 10 მ³ ტევადობის საასენიზაციო ორმო

პროექტის ფარგლებში მოხდება ფუჭი ქანების წარმოქმნა ტურბინა-გენერატორების, ქვესადგურის, ელექტროგადამცემი ხაზების და სამშენებლო მოედნების მოწყობისას. ექსკავირებული გრუნტის ძირითადი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილებში, ხოლო დარჩენილი ნაწილი შესაძლოა დასაწყობდეს შპს „უსასრულო ენერგიის“ მიერ დაგეგმილი „იმერეთი 1“ და „იმერეთი 2“-ის სანაყაროებზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ფუჭი ქანების და მისი მართვის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისთვის, შემცირებისთვის ან/და შერბილებისთვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების პროცესთან. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ხმაურის წარმოქმნა მოსალოდნელია სამშენებლო სამუშაოებისა და ტურბინების ექსპლუატაციით. წარმოდგენილი ინფორმაციით, დეტალური გაანგარიშებები ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ეგზ-ის გაყვანასთან, ასევე, ქარის ტურბინების საძირკვლების მომზადებასთან. ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე ვხვდებით ეროზიულ-დენუდაციური ტიპის მოვლენებს და მეწყრულ პროცესებს. ქარის ელექტროსადგურების განთავსება დაგეგმილია წყალგამყოფ ქედებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გზმ-ის ეტაპზე დაგეგმილია დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩატარება, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საშიში გეოდინამიკური პროცესების რისკების შეფასებას და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მშენებლობის ფაზაზე ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებების გამომწვევ წყაროებს წარმოადგენს: გზის მოწყობა, სამშენებლო ტექნიკის გადაადგილება, მიწის სამუშაოები და სხვ. ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე ვიზუალურ ზემოქმედებას ადგილი ექნება ტურბინების ე.წ. „ჩრდილის ციმციმის“ და ტექნიკის გადაადგილების დროს. ასევე, აღსანიშნავია მოძრავი როტორების მიერ შუქ-ჩრდილებით გამოწვეული ზემოქმედება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთები ძირითადად გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის. ასევე, ტერიტორიის გამოყენება ხდება სამოვრებად. საპროექტო არეალში წარმოდგენილია ორი ძირითადი ჰაბიტატი - მეორადი მდელოები და ფართოფოთლოვანი ტყეები. სკოპინგის ანგარიშის შესაბამისად, საპროექტო არეალში შესაძლებელია არსებობდეს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული შემდეგი სახეობები: წაბლი (*Castanea sativa*) და იმერული მუხა (*Quercus robur subsp. imeretina*), კოლხური მუხა (*Quercus hartwissiana*), უთხოვარი (*Taxus baccata*), კოლხური ბუხა (*Buxus colchica*). სამუშაოების წარმოებისას საჭირო იქნება ხე-მცენარეების ამოღება.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ხელფრთიანებზე და ორნითოფაუნაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წინასწარი კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით, საპროექტო არეალში დაფიქსირდა 19 სახეობის ხელფრთიანი, მათ შორის, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სამხრეთული ცხვირნალა (*Rhinolophus euryale*) და ევროპული მაჩქათელა (*Barbastella barbastellus*). საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებული ძუძუმწოვრებიდან ფიქსირდება

საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობები: ფოცხვერი (*Lynx lynx*), კავკასიური ციყვი (*Sciurus anomalus*), კავკასიური გველგესლა (*Vipera kaznakovi*).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია შეგვხვდეს დაახლოებით 104 სახეობის ფრინველი, მათ შორის, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული შემდეგი სახეობები: ბუხრინწა (*Tyto alba*), ბეჭობის არწივი (*Aquila heliaca*), ქორცქვიტა (*Accipiter brevipes*), ველის კაკაჩა (*Buteo rufinus*), წითელფეხა შავარდენი (*Falco vespertinu*).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა დაცული ტერიტორიების საზღვრებში. ტურბინების განთავსების ადგილიდან უახლოესი მანძილი ზურმუხტის ქსელის ტერიტორიამდე (სურამი 1-GE0000034) შეადგენს 1 კმ-ს, ხოლო საპროექტო ზონის სამხრეთით ასევე ვხვდებით ზურმუხტის ქსელი საიტებს: „სურამი 2-GE0000049“ და „სურამი 4-GE0000052“. ტერიტორია ასევე არ ექცევა ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორია SPA და ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის IBA საიტების ფარგლებშიც.

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მონაცემებით, წარმოდგენილი მთლიანი საპროექტო ტერიტორიიდან 2541 ჰა ფართობიდან (კაბელის ბუფერი, კონსტრუქციების პოლიგონები, მიწის დასაწყობების ადგილები, გზები, ქვესადგური), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, **1399.9 ჰა** წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების მოპოვება.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ხილული ძეგლი - „სანთელას ციხე“ ტურბინიდან დაშორებულია 540 მეტრით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. ასევე, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე, ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქგვერდზე. ამასთან,

ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს, ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 2 აპრილს საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფ. კორბოულის იუსტიციის სახლის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საჩხერის მუნიციპალიტეტის, შპს „იმერეთის ენერგიის“, გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯითიეს კონსულტიმის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა: დაგეგმილი საქმიანობის დაწყების ვადებსა და სოციალურ-ეკონომიკურ (მათ შორის, ადგილობრივების დასაქმების) საკითხებს. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე განმარტებები გააკეთეს შპს „იმერეთის ენერგიის“ და გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია შპს „ჯითიეს კონსულტიმის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში,

მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების (მათ შორის, ქარის ელექტროსადგურის, ეგზ-ის და ქვესადგურის) შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი (განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნებაზე შესაძლო ზემოქმედების) თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება. მათ შორის, ქარის ტურბინა-გენერატორების კონკრეტული ლოკაციების, დამხმარე ინფრასტრუქტურის, საპროექტო ქვესადგურისა და ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზების განთავსების ადგილების დეტალური აღწერა, საკადასტრო კოდების, ფართობების, GPS კოორდინატების მითითებით, პროექტის ერთიან Shp ფაილებთან ერთად;
- საპროექტო ინფრასტრუქტურიდან (ქარის ელექტროსადგური, ეგზ და ქვესადგური) და სამშენებლო ბანაკიდან/მოედნიდან დაზუსტებული მანძილები უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, დასახლებულ პუნქტამდე და ზედაპირული წყლის ობიექტამდე, გენ-გეგმაზე კონკრეტული მანძილების მითითებით;
- საპროექტო ობიექტის ერთიანი გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება ქარის ელექტროსადგურის შემადგენელი ყველა საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტი, მათ შორის საპროექტო ქვესადგური და ელექტროგადამცემი ხაზები;
- ქარის ელექტროსადგურის ფუნქციონირების ტექნოლოგიური სქემის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ელექტროსადგურის ჯამური სიმძლავრისა და (თვეების, წლების განმავლობაში) გამომუშავებული ელექტროენერგიის შესახებ ინფორმაციის მითითებით. საოპერაციო დროის/წლის განმავლობაში სამუშაო რეჟიმის შესახებ ინფორმაცია;

- საპროექტო ქარის ელექტროსადგურის, ქვესადგურისა და ელექტროგადამცემი ხაზების ტექნიკური პარამეტრების, ფიზიკური მახასიათებლების ცხრილი, პროექტის განმარტებითი ბარათი და ყველა შემადგენელი ტექნიკური ნაგებობის აღწერა;
- დეტალური ინფორმაცია ტურბინების რაოდენობის, ტიპის, თითოეული ტურბინის ადგილმდებარეობის, დადგმული სიმძლავრის, ტურბინების სიმაღლისა და ფრთების დიამეტრის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ტურბინებისთვის, ელექტროგადამცემი ხაზებისა და ქვესადგურისთვის გათვალისწინებული დაცვის ზონებისა (ბუფერის) შესახებ (სქემატურ რუკაზე დატანილ და შესაბამისი Shp ფაილებით);
- ინფორმაცია ქარის ელექტროსადგურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული შესაბამისი/დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების შესახებ (თითოეული ობიექტის ტექნიკური მახასიათებლების მითითებით);
- ინფორმაცია ქვესადგურის ტერიტორიაზე სატრანსფორმატორო ზეთის დაღვრის პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი ზეთშემკრები სისტემის შესახებ;
- ინფორმაცია ქარის ტურბინების ქვესადგურთან დამაკავშირებელი მიწისქვეშა ეგზ-ის (მათ შორის ტრანშეის პარამეტრების) და ეგზ-ის განთავსების პირობების შესახებ;
- ინფორმაცია საპროექტო ელექტროსადგურის და შემადგენელი ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წყალმომარაგების შესახებ;
- ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი;
- ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ, მართვის ღონისძიებების მითითებით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- ზემოქმედების არეალში არსებული საპროექტო მიწის ნაკვეთების საკუთრების ან/და სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სამიეზო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5.1. გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);

- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული საშიში გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც.

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო ობიექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით (იდენტიფიცირებული პროცესები მოცემული უნდა იყოს კოორდინატებში).

5.2 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- სამშენებლო სამუშაოების შესახებ (სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკთან ერთად);
- მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკის შესახებ;
- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოებისა და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით) ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) მითითებით;
- მშენებლობის პროცესში წარმოსაქმნელი ფუჭი ქანების რაოდენობისა და მართვის შესახებ, ფუჭი ქანების განთავსების ადგილების/სანაყაროების (GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად) მითითებით;
- შერჩეული ადგილის/ადგილების გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები. სანაყაროებისთვის ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ასევე მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სანაყაროს მოწყობას არ ითვალისწინებს;
- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სამშენებლო ბანაკის/მოედნის დაზუსტებული ადგილმდებარეობა (GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად), ასევე დასაბუთებული უნდა იყოს ბანაკის/მოედნის განთავსებისთვის შერჩეული ადგილმდებარეობის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობები;
- სამშენებლო ბანაკისთვის/მოედნისთვის შერჩეული ტერიტორიის დეტალური აღწერა-დახასიათება;
- სამშენებლო ბანაკის/მოედნის გენ-გეგმა, შესაბამისი ექსპლიკაციით;

- სამშენებლო ბანაკის/მოედნის ელექტროენერგიით მომარაგების საკითხები;
- სამშენებლო ბანაკზე/მოედანზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ;

5.3 საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხები:

- ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი გზების შესახებ (არსებული, სარეაბილიტაციო და საპროექტო გზების სქემატურ ნახაზებზე და shp ფაილებზე ასახვით);
- დეტალური ინფორმაცია ახალი მისასვლელი გზების მოწყობის და არსებული გზების რეაბილიტაციის შესახებ. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სარეაბილიტაციო და მოსაწყობი გზების პარამეტრებისა და სქემების მითითებით. ასევე, შეფასებული უნდა იქნეს გზების მოწყობით/რეაბილიტაციით გამოწვეული ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე;

5.4 ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, „ფრინველებთან დაკავშირებული კვლევები ჩატარდება 2024-2025 წლის ზამთრის პერიოდში 3 საველე დღე, 2025 წლის გაზაფხულზე 10 საველე დღე, 2025 წლის ზაფხულში 6 საველე დღე და 2025 წლის შემოდგომაზე 10 საველე დღე.“ გზშ-ის ანგარიშში აღნიშნული კვლევების შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნას არამხოლოდ ერთიანი ინფორმაციის/ანგარიშის სახით, არამედ ცალ-ცალკე, სეზონების მიხედვითაც, რათა შემდგომი მონიტორინგის განხორციელებისას შესაძლებელი იყოს მონაცემების შედარება და ანალიზი, კონკრეტული სეზონური პერიოდის მიხედვით;
- ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა, რომელშიც აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტზე (განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე და ხელფრთიანებზე) და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხი. საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი პრევენციული, მათ შორის, საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა განხორციელების მიზნით;
- ინფორმაცია ფრინველთა დამაფრთხილებელი მოწყობილობების შესახებ, სადაც ასევე აღწერილი იქნება ტურბინების კონსტრუქციის ფერისა და ფორმის შერჩევის საკითხები, ფრინველების შეჯახებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირების კუთხით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შედეგად მისასვლელი გზების, სამშენებლო ბანაკის,

ქვესადგურის, ფუჭი ქანების სანაყაროს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურის მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ;

- საპროექტო ტერიტორია უშუალოდ არ კვეთს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტებს („Surami 1 GE0000034“, „Surami 2 GE0000049“ და „Surami 4 GE0000052“), თუმცა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მაინც არსებობს ამ ტერიტორიებზე გავრცელებულ მნიშვნელოვან სახეობებზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების რისკი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ფრინველთა იმ სახეობებზე ზემოქმედების კვლევის კუთხით, რომელთათვისაც შეიქმნა ზურმუხტის ქსელის ეს ტერიტორიები. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დასაბუთება იმის შესახებ, თუ რატომ არ მოახდენს დაგეგმილი საქმიანობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ზურმუხტის ქსელის საიტებზე არსებულ დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე;
- ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობისა და რაოდენობის ზუსტი მითითებით (ე.წ. ტყეკაფის უწყისი).

6. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისთვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. მათ შორის, ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (მოწყობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი/პრევენციული ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს ხმაურის გავრცელების მოდელირება;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;

- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე მოსალოდნელი ზემოქმედება ზედაპირული წყლის ობიექტზე და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. მათ შორის, შეფასებული უნდა იყოს ჩრდილის ციმციმთან დაკავშირებული ზემოქმედება და წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები;
- ზამთრის პერიოდში ქარის ტურბინებზე ყინულის წარმოქმნით/ყინულის ცვენით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ინფორმაცია მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (კოდები, დასახელებები, რაოდენობა) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- შესაძლო პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, მოსალოდნელი ზემოქმედების აღწერა და შედეგების შესწავლა, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება;
- სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (მარშრუტებისა და სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის მითითებით) შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ზემოაღნიშნული ფაქტორებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკვლევ რეგიონში არსებული და დაგეგმილი პროექტები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე (წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო არეალში ზემოქმედებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრეების ინფორმირების/შეთანხმების შესახებ ინფორმაცია. ასევე, განხილული უნდა იყოს ბუნებრივი რესურსების შეზღუდვასთან (მ.შ. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, სამოვრებზე ზემოქმედება) დაკავშირებული საკითხები. ამასთან, უნდა განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება გავლენის ზონაში არსებული და დაგეგმილი (მ.შ. „იმერეთი 1“, „იმერეთი 2“, „იმერეთი 4“ პროექტები) საქმიანობების გათვალისწინებით (ყურადღება უნდა გამახვილდეს ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით ორნითოფაუნაზე, მათ შორის გადამგრენ ფრინველებზე ზემოქმედების ჭრილში);

- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებისთვის **შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა** (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირისა და მეთოდის მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სოციალური პაკეტების შესახებ (არსებობის შემთხვევაში). ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია სკოპინგის ეტაპზე, საჯარო განხილვებზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების შეფასების და აღნიშნული კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე, დოკუმენტის მომზადებისას გამოყენებული ნებისმიერი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის ქვეთავში (მაგ. ბიბლიოგრაფია, გამოყენებული ლიტერატურა), სადაც მითითებული იქნება ინფორმაციის გავრცელების წყარო, ელ. ბმული ან/და წიგნის/ნაშრომის/სტატიის ავტორის, გამოცემის წელის, წიგნის/სტატიის დასახელებისა და გამოყენებული გვერდების შესახებ ინფორმაცია.

7. შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის ანგარიშში განხილულია როგორც მიწისზედა (საჰაერო), ასევე მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზების მოწყობის საკითხი, თუმცა არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რა პარამეტრების მიწისქვეშა და მიწისზედა ეგზ-ების მოწყობა იგეგმება. გარდა ამისა, დოკუმენტსა და Shp ფაილებში მოცემულია ინფორმაცია მხოლოდ საპროექტო ქარის ელექტროსადგურის ტურბინების შესახებ, თუმცა ეგზ-ის ანძები განხილული არ არის. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს მიწისქვეშა და მიწისზედა ელექტროგადამცემი ხაზების პარამეტრები (სიგრძე, საყრდენი ანძების რაოდენობა, სადენების ტიპები, საძირკვლების პარამეტრები და სხვ., ხოლო მიწისქვეშა ეგზ-ის შემთხვევაში, ასევე, ტრანშეის პარამეტრები), საყრდენი ანძების ადგილმდებარეობების მითითებით (როგორც სქემატურ ნახაზზე, ასევე Shp ფაილებში);
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 და 3.9 ქვეპუნქტები (3.4. ქვეპუნქტი - „35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის

მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება“; 3.9. ქვეპუნქტი - „დანადგარი ქარის ან/და ზღვის ტალღების ენერგიის მეშვეობით ელექტროენერგიის წარმოებისათვის.“). ამასთან, ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 33 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებისა და 33 კვ ძაბვის ქვესადგურის მოწყობა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ელექტროგადამცემი (მიწისზედა და მიწისქვეშა) ხაზებისა და ქვესადგურის ფიზიკური მახასიათებლების (მათ შორის ძაბვის) შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად, დოკუმენტაციის საკანონმდებლო საფუძველი;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პროექტის ფარგლებში ქვესადგურის მოწყობის ალტერნატივები არ განხილულა, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ შპს „უსასრულო ენერგია“ აშენებს 500/220/33 კვ-იან ქვესადგურს, რომლის ერთ-ერთ ფრდად მოეწყობა წინამდებარე პროექტით გათვალისწინებული 33 კვ-იანი ქვესადგური.“ დაზუსტებას საჭიროებს ქარის ელექტროსადგურის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგიის ქვესადგურ(ებ)თან დაერთების საკითხი. ამასთან, სკოპინგის ანგარიშში განხილული არ არის დაგეგმილი საქმიანობის ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები. ასევე, გარემოსდაცვითი კუთხით დასაბუთებული არ არის შერჩეული ალტერნატივის უპირატესობა. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში;
- სკოპინგის ანგარიშში სურათები წარმოდგენილია დაბალი გარჩევადობით, ლათინური აბრევიატურით და ინგლისურ ენაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს სურათები მაღალი გარჩევადობით. ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე;
- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ცნობით, წარმოდგენილი მთლიანი 25412294 კვმ. (2541 ჰა) ფართობიდან (კაბელის ბუფერი, კონსტრუქციების პოლიგონები, მიწის დასაწყობების ადგილები, გზები, ქვესადგური, ტერიტორია), „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, **13999648 კვმ (1399.9 ჰა) წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს.** კერძოდ, საჩხერის სატყეო უბნის კორპორულის სატყეოს კვარტალი N25; 26; 27; ლიჩის სატყეოს კვარტალი N37; 38; 46; ცხამის სატყეოს კვარტალი N32; 33; 35 და ოტრის სატყეოს კვარტალი N15; 18; 19; 20; 21; 22; 23; 24; 25; 26; 27; 28. ამასთან გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით (თავი VII-XIV) განსაზღვრული საქმიანობა (წარმოსადგენი დოკუმენტაცია იხ. დანართი N1) ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის

უფლების მოპოვების მიზნით საქმიანობის განმახორციელებელმა გზშ-ის ანგარიშს უნდა დაურთოს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია მთლიანად მოიცავს ტინისხიდის გორაძირის ბაზალტის (მოსაპირკეთებელი ქვა) და ვულკანური წიდის გამოვლინების ტერიტორიას. გამოვლინებაზე არსებული მარაგებია: ბაზალტი - 2000000 მ³, ვულკანური წიდა - 2500000 მ³. „წილის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით.“ შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს არქეოლოგიური თვალსაზრისით სენსიტიურ არეალს, სადაც სხვადასხვა დროს დადასტურებული და შესწავლილია ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით არქეოლოგიური ობიექტები, აუცილებელია, რომ საპროექტო არეალზე განხორციელდეს პირველადი არქეოლოგიური კვლევა, ანგარიშის სააგენტოში წარმოდგენით. შესაბამისად, აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსთან შეთანხმების დამდასტურებელი (მათ შორის, კომუნიკაციის ამსახველი) დოკუმენტაცია;
- გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შესახებ მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია. კერძოდ, 3.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „კულტურული მემკვიდრეობის ხილული ძეგლი - „სანთელას ციხე“ საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 539.44 მეტრით,“ ხოლო 4.10 ქვეთავში მითითებულია, რომ „საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ სხვადასხვა პერიოდში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ხილული ისტორიულ-კულტურულ ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ დადასტურებულა.“ შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიასა და მიმდებარედ ისტორიულ-კულტურული ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობის საკითხი;

- საპროექტო არეალი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს. გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია. დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I დანართის 1.1. ქვეპუნქტის თანახმად, 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო არეალში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საერთო ფართობი და სარგებლობის (მათ შორის, საკანონმდებლო) საფუძველი ან/და გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მიწის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების სტატუსის შეცვლის (არასასოფლო-სამეურნეო) შესახებ;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურის მიერ მიწისქვეშა/საჰაერო ობიექტების გადაკვეთების შესახებ (არსებობის შემთხვევაში), მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ გადის სს „საქრუსენერგოს“ საკუთრებაში არსებული 500 კვ. ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „ქარელი 2“ (ს/კ 72.00.385). აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სს „საქრუსენერგოსთან“ შეთანხმების დამადასტურებელი (მათ შორის, კომუნიკაციის ამსახველი) დოკუმენტაცია;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „პროექტის ფარგლებში ძირითადად გამოყენებული იქნება მისასვლელი გზის პარალელურად მოწყობილი დაახლოებით 3 მ-იანი სიგრძის ტრანშეა. საკაბელო ეგზ-ის საერთო სიგრძე იქნება 3,6 კმ.“ Shp ფაილების მიხედვით, მიწისქვეშა ეგზ-ის მიახლოებითი სიგრძეა 28.4 კმ. შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნული საკითხი დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის, თუმცა ანგარიშის სხვადასხვა თავებში ნახსენებია ბანაკი. გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო ბანაკის მოწყობის საკითხი;
- სკოპინგის ანგარიშში მოიცავს ურთიერთგამომრიცხავი შინაარსის წინადადებებს და ტექნიკურ უზუსტობებს, რაც არ იძლევა დოკუმენტაციის სათანადოდ შეფასების საშუალებას. შესაბამისად, დოკუმენტი საფუძვლიან რედაქტირებას საჭიროებს ;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „პროექტის ფარგლებში, წყლის გარემოზე პირდაპირი ზემოქმედება ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ზედაპირული წყლის ობიექტები

დაშორებულია არანაკლებ 500-700 მ-ით.“ წარმოდგენილი ანგარიში შეიცავს ჰიდროლოგიური ხასიათის მხოლოდ ზოგად ინფორმაციას მდ. ძირულას წყალშემკრები აუზის შესახებ. ანგარიშის ტექსტში არ არის დაზუსტებული, „არანაკლებ 500 მ-ის“ მანძილში მოიაზრება მხოლოდ ძირითადი მდინარის კალაპოტის დაშორება, თუ ასევე სხვადასხვა რიგის მცირე შენაკადებისა და სეზონური უსახელო ხეებისა, რომლებითაც საკვლევი ტერიტორია უხვად არის დატოტვილი. გზშ-ის ანგარიშში უნდა დაზუსტდეს ინფორმაცია არამხოლოდ ძირითადი მდინარის, არამედ, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მცირე შენაკადებისა და მშრალი ხეების შესახებაც, უნდა მოხდეს მათი წყალდაცვითი ზოლის იდენტიფიცირება და ზემოქმედების აღმკვეთი/შემარბილებელი მექანიზმების შემუშავება, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად;

- სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე ზემოქმედება მოსალოდნელია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე - „ზაჰესი-მცხეთა-კავთისხევი-გორი“. დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნულ გზაზე ზემოქმედების საკითხი;
- წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 09 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილვთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის - გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით შპს „იმერეთის ენერგიის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება საჩხერისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, 100 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის „იმერეთი 3“-ის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

28 აპრილი 2025



N 213/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, შპს „იმერეთის ენერგიის“ 100 მგვტ დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის („იმერეთი 3“) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის 3.9 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გაიცეს, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში, შპს „იმერეთის ენერგიის“ 100 მგვტ. დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის („იმერეთი 3“) მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N32;
2. შპს „იმერეთის ენერგია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N32 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „იმერეთის ენერგიას“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „იმერეთის ენერგიის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში, სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/213-21-4-202504281526>



